ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

(შესყიდვის შესახებ)

ქ. გორი "17 სექტემბერი " 2012 წ.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი გორის №10 საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) მისი დირექტორის მ.შ. ცისანა კუპატაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ზაკო" წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ოქროპირიძის სახით (შემდგომში შემსრულებელი), ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. *ხელშეკრულების საგანი*

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია: სკოლის კუთვნილი ავტომანქანის ოპელასტრა WUV 269-თვის შეკეთების მომსახურების შესყიდვა

1.2. შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა, შესყიდვის კოდი (CPV) 343

2. *ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და ვადა*

2.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ღირებულება შეადგენს: 104(ასოთხი) ლარი.

2.3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.4. ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს: 17 .09.12 – 30. 09.12 წწ.

2.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად. ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

3 *მომსახურების გაწევის პირობები*

3.1. "შემსრულებელმა" უნდა უზრუნველყოს მხარეებს შორის მომსახურების გაწევის შეთანხმებული გრაფიკისა და წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებათა შესაბამისად მომსახურების გაწევა, რაც თავის მხრივ გულისხმობს სკოლის კუთვნილი ავტომანქანის ოპელასტრა WUV 269-თვის შეკეთების მომსახურების შესყიდვა

4. მხარეთა უფლება მოვალეობანი.

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

--- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბმისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესბამისად;

4.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

--- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.4. შემსრულებელი ვალდებულია:

--- ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილ პირობებში გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება

4.5. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში "შემსყიდველს" წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია.

4.6. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის" მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან.

4.7. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობასა და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

4.9. შემსრულებელი უფლებამოსილია "შემსყიდველს" მოსთხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი

5.3. ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად, წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

5.4. „შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ..

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ადგილია გორი.

6.3. გაწეული მომსახურების წუნდების მიზეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ ატყობინებს შემსრულებელს წერილობით, რის აღმოფხვრასაც საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "შემსრულებელი"

7. ფორს-მაჟორული სიტუაცია

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.
7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

8. დავების გადაწყვეტის წესი

8.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ სადაო საკითხებზე მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

9. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

9.1. ხელშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. უფლებების გადაცემა.

10.1. შემსრულებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11. ფასები

11.1. ხელშეკრულებით ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე

12. სხვა პირობები.

12.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიეთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
12.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

13. მხარეთა ხელმოწერები

სსიპ №10 საჯარო სკოლა
თარხნიშვილის №22
ს.ნ 218016741
სს პროკრედიტ ბანკი MIBGGE
GE60PC0143400100000017

დირექტორის მ.შ. ც. კუპატაძე

შპს ზაკო
გორი პუშკინის ქ. №2
ს/კ 417874928
სს ტაოპრივატ ბანკი CAVOGE22
GE57TP0036080040000075

---------- ზ. ოქროპირიძე

მიღება -- ჩაბარების აქტი

ქ. გორი „19 სექტემბერი " 2012 წ.

ერთის მხრივ სსიპ გორის №10 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. ც. კუპატაძემ (შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს ზაკოს დირექტორმა ზ. ოქროპირიძემ (შემსრულებელი), შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შემსრულებელმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება: შეაკეთა სკოლის კუთვნილი ავტომანქანა ოპელასტრა WUV 269, ღირებულებით 104(ასოთხი) ლარი.
მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ მხარეები ხელმოწერით:

შემსყიდველი შემსრულებელი სსიპ გორის №10 სკოლის დირექტორის მ.შ.	შემსრულებელი
----------	----------
ც. კუპატაძე	ზ. ოქროპირიძე